



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 265

თბილისი

„20“ 06 2013 წ

2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 6 ივნისის №205346 და 2013 წლის 17 ივნისის №219761 მომართვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 19 ივნისის №229079 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამები შემდეგ საგნებში:

- ა) ქიმია (დანართი №1);
- ბ) ფიზიკა (დანართი №2);
- გ) ბიოლოგია (დანართი №3);
- დ) გეოგრაფია (დანართი №4).

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

  
თამარ სანიკიძე  
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

ქ. ბიძინაძე 20.06.2013

/ქეთევან კუკავა/

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებელთან

[ხელმოწერა] 20-06-2013

/ლანა ხუნაშვილი/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

[ხელმოწერა]

/დავით ლომინაშვილი/

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან

[ხელმოწერა]

/ნათია ჯოხაძე/

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსთან

[ხელმოწერა]

/ლია გიგაური/

მინისტრის მოადგილესთან

[ხელმოწერა]

/ალუდა გოგლიჩიძე/

ბრძანება გაეგზავნოს:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს.
2. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს.
3. ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს.
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
5. სსიპ – გამოცდების ეროვნულ ცენტრს.
6. მინისტრის მოადგილეს – ალუდა გოგლიჩიძეს.

00539

2013 - 2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების პროგრამა  
გეოგრაფიაში

(პროგრამა განკუთვნილია 2013 წლის შემოდგომის გამოცდებისათვის ქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასელებისათვის)

გამოცდაზე მოწმდება:

- ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
- გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
- გეოგრაფიული რუკების კითხვა;
- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებების (ფოტოების, გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების) გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება/ანალიზი;
- გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი ნიშნების გარჩევა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა;

საგნობრივი კომპეტენცია:

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
<i>გეოგრაფიის შესავალი:</i>	
გეოგრაფიის მეცნიერების შესავალი, სტრუქტურა და კვლევის საგანი	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეოგრაფიის შესწავლის ობიექტი და მიზნები;</li> <li>• გეოგრაფიის მეცნიერების სტრუქტურა და ცალკეული მიმართულებების დეფინიციები.</li> </ul>
რუკა და სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რუკები (რუკის ლეგენდა, მასშტაბი, ორიენტირება, ეკვატორი, პოლუსები, ტროპიკები და პოლარული წრეები, გრადუსთა ბადე, გრძედი და განედი, გეოგრაფიული კოორდინატები, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა (აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლეები), საჭირო ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია, ანალიზი, ამოცანების გადაჭრა)</li> <li>• სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებების (ფოტო, ნახატი, სქემა, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა) გამოყენება, ინფორმაციის ანალიზი, ამოცანების გადაჭრა.</li> </ul> <p>საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული</p>

	ნომენკლატურა (მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტები) <sup>1</sup> - მსოფლიო ოკეანის ნაწილები, კონტინენტები და მისი ნაწილები, რელიეფის ძირითადი ფორმები, შიდა წყლები.
<i>საბუნებისმეტყველო გეოგრაფია:</i>	
პლანეტა დედამიწა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დედამიწის დღე-ღამური და წლიური მოძრაობა;</li> <li>• სასაათო ზონები და თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი.</li> </ul>
რელიეფი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ენდოგენური და ეგზოგენური რელიეფწარმომქმნელი პროცესები, რელიეფის ფორმები და ტიპები; რელიეფის გავლენა კლიმატზე, მეურნეობაზე.</li> </ul>
ამინდი და კლიმატი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჰაერის ტემპერატურა (საშუალო ტემპერატურა, ამპლიტუდა), ტემპერატურის ცვლილება განედის, აბსოლუტური სიმაღლისა და ოკეანიდან დაშორების მიხედვით;</li> <li>• ატმოსფერული წნევა; სხვადასხვა ტიპის ქარები, მათი წარმოშობა და გავრცელების კანონზომიერებები (ბრიზი, მუსონი, პასატი, ფიონი);</li> <li>• ატმოსფერული ნალექები, მათი სახეები და გავრცელების კანონზომიერებები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი, თრთვილი);</li> <li>• კლიმატის გავლენა განსახლებაზე და სამეურნეო საქმიანობაზე (სოფლის მეურნეობაზე, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე).</li> </ul>
შიდა წყლები	<ul style="list-style-type: none"> <li>• მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები (საზრდოობა და რეჟიმი, გავლენა მეურნეობაზე).</li> </ul>
ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივი რესურსების გავრცელება, მნიშვნელობა, კლასიფიკაცია და რაციონალური გამოყენება (სასარგებლო წიაღისეული და ბუნების დაცვა).</li> </ul>
<i>საზოგადოებრივი გეოგრაფია:</i>	
მოსახლეობის გეოგრაფია და დემოგრაფია	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის სტრუქტურა</li> <li>• მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა</li> </ul>

გამოცდაზე აპლიკანტებს დაურიგდებათ საქართველოს და მსოფლიოს ფიზიკური რუკები.

	<p>(შობადობის, მოკვდავობისა და ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტები)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკური მოძრაობა (მიგრაციის ტიპები, მიზეზები, ფაქტორები)</li> <li>• სიმჭიდროვე, განსახლების ტიპები და ურბანიზაცია.</li> </ul>
ქვეყნების კლასიფიკაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• მმართველობის ფორმისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით;</li> <li>• სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით (ადამიანის (ჰუმანური) განვითარების ინდექსი, მშპ).</li> </ul>
საერთაშორისო ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაერო, ნატო, ევროპის კავშირი, ევროსაბჭო, წითელი ჯვარი, სოკი.</li> </ul>
<i>საქართველოს გეოგრაფია:</i>	
საქართველოსა და კავკასიის მდებარეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზღვრები, ფართობი, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დაყოფა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, მმართველობის ფორმა;</li> <li>• ევროპა-აზიას შორის საზღვრის გატარების ვერსიები.</li> </ul>
საქართველოს ბუნების კომპონენტები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები;</li> <li>• ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი თავისებურებები;</li> <li>• ჰავის ძირითადი ელემენტები;</li> <li>• შიდა წყლები (მდინარეები, ტბები, მყინვარები, წყალსაცავები);</li> <li>• შავი ზღვა;</li> <li>• ფლორა და ფაუნა.</li> </ul>
საქართველოს ბუნებრივი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს მნიშვნელოვანი რესურსების გეოგრაფია (სათბობ-ენერგეტიკული, შავი და ფერადი ლითონები, საშენი მასალები, მინერალური და თერმული წყლები).</li> </ul>
გარემოსდაცვითი პრობლემები და სტიქიური მოვლენები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ატმოსფეროს, წყლის და ნიადაგის დაბინძურება;</li> <li>• მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, სეტყვა.</li> </ul>
ბუნების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაცული ტერიტორიების გეოგრაფია და ტიპები, შექმნის მიზეზები და მიზნები, მნიშვნელობა და დაცვის</li> </ul>

	განსაკუთრებული ობიექტები.
საქართველოს მოსახლეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის რაოდენობა, ტერიტორიული განლაგება და დინამიკა;</li> <li>• მოსახლეობის სტრუქტურა (სქესობრივ-ასაკობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური);</li> <li>• დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები;</li> <li>• საქალაქო და სასოფლო დასახლებების გეოგრაფია, ურბანიზაცია.</li> </ul>
საქართველოს მეურნეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო.</li> </ul>
საქართველოს რეგიონები	<ul style="list-style-type: none"> <li>• თბილისი, კახეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, გურია, აჭარა, აფხაზეთი (მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა, ღირშესანიშნაობები).</li> </ul>
<b>გლობალური გეოგრაფია:</b>	
გლობალიზაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• გლობალიზაციის პროცესის არსი და ცნება;</li> <li>• გლობალიზაციის ინდექსი და კრიტერიუმები;</li> <li>• გლობალური პრობლემების სახეები და მათი ურთიერთკავშირი;</li> <li>• გლობალური პრობლემები და საერთაშორისო ორგანიზაციები.</li> </ul>
პოლიტიკური ხასიათის გლობალური პრობლემე	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშვიდობა და განიარაღება.</li> </ul>
სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემე	<ul style="list-style-type: none"> <li>• შრომითი მიგრაცია;</li> <li>• კულტურული გლობალიზაცია;</li> <li>• ეკონომიკური გლობალიზაცია;</li> <li>• მსოფლიო ფინანსური ნაკადები და ცენტრები;</li> <li>• ცხოვრების დონე და ხარისხი.</li> </ul>
გლობალური ეკოლოგიური პრობლემები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები;</li> <li>• ბუნებათსარგებლობა და მდგრადი განვითარება;</li> <li>• გარემოსდაცვითი ღონისძიებები და ორგანიზაციები.</li> </ul>